



უცხოელთა დეპორტაცია საჰაერო გზით

*ამონაწერი მე-13 საერთო ანგარიშიდან,
გამოქვეყნდა 2003 წელს*

27. თავისი საქმიანობის დაწყებიდანვე, CPT განიხილავდა იმ პირთა თავისუფლების აღკვეთის პირობებს, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთათ უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით. ეს საკითხი განხილულია CPT-ს მე-7 საერთო ანგარიშში (CPT/Inf (97) 10, მუხლები 24-36). ამ ანგარიშში CPT დაადგენს რამოდენიმე ძირითად წესს ძალის გამოყენებისა და ზემოქმედების საშუალებათა შესახებ დაკავებული მიგრანტების დეპორტაციის პროცედურების კონტექსტში.

28. ამ ანგარიშის შემდეგ CPT-ს ვიზიტებმა საშუალება მისცა, გაეღრმავებინა ცოდნა უცხოელთა საჰაერო გზით დეპორტაციის პრაქტიკასთან მიმართებით. ვიზიტების დროს, CPT კონცეტირდა იმ პროცედურებზე, რომელიც თან ახლავს ძალადობრივ გამგზავრებას ესკორტით¹. უმეტეს შემთხვევაში CPT-ს ყურადღება მიიპყრო დეპორტირებული პირის გარდაცვალებამ, ზემოქმედების საშუალებათა მოცულობამ და/ან არასათანადო მოპყრობის გამოვლენამ. CPT არ შემოფარგლულა იმ პროცედურების განხილვით, რომელიც თან ახლავს შესაბამისი პირის საჰაერო ხომალდში მოთავსებასა და ფრენას. მან აგრეთვე განიხილა ბევრი სხვა ასპექტი, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა დეპორტაციამდე, დაკავებული მიგრანტის დანიშნულების ქვეყანაში დაბრუნების მოსამზადებლად გადადგმული ნაბიჯები, ესკორტის პერსონალის შერჩევისა და გადამზადების უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები, დეპორტაციის ესკორტის პერსონალის ქვევის მონიტორინგის შიდა და გარე სისტემები, ზომები ნაადრევი დეპორტაციის მცდელობის შემდეგ და ა.შ.

¹ დეპორტაციის პროცედურები კლასიფიცირდება მთელ რიგ ფაქტორთა გათვალისწინებით, როგორცაა გამოყენებული ძალის მოცულობა, გამოყენებულ ზემოქმედების საშუალებათა ტიპები, დეპორტირებული პირის ესკორტში თანამშრომლების რაოდენობა. მაგალითად, ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც CPT ახლახანს იმყოფებოდა, გამოყოფდნენ სამი ტიპის დეპორტაციას: დეპორტაცია წინააღმდეგობის გარეშე, ძალადობრივი დეპორტაცია ესკორტის გარეშე და ძალადობრივი დეპორტაცია ესკორტის თანხლებით. ზოგადად, ყველაზე პრობლემატურია პროცედურები, რომელიც საჭიროებს ძალის გამოყენებას კომბინირებულად, ზემოქმედების რამოდენიმე საშუალებას და დიდ ესკორტს მანამ, სანამ დეპორტირებული პირი არ ჩავა დანიშნულების ქვეყანაში.

29. იმისათვის, რომ დეტალურად შეესწავლა დეპორტაციის პროცესში გამოყენებული პროცედურები და საშუალებები, CPT-მ მოიპოვა შესაბამისი ინსტრუქციებისა და დირექტივების ასლები. ასევე შეაგროვა ბევრი სხვა დოკუმენტი (დეპორტაციის შემთხვევების სტატისტიკა, ესკორტის გამოყოფის ბრძანებები, ესკორტის გამოყოფის ანგარიშები, ინციდენტის შესახებ ანგარიშები, სამართლებრივი დევნის ანგარიშები, სამედიცინო ცნობები და ა.შ.) და შეისწავლა დეპორტაციის ოპერაციებისას გამოყენებული ზემოქმედების საშუალებები. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში კომიტეტის წარმომადგენლები დეტალურად ესაუბრნენ დეპორტაციის ოპერაციებზე პასუხისმგებელი ორგანოს ხელმძღვანელებს და დეპორტაციისათვის გამზადებულ პირთ შემთხვევის ადგილზე, რომელთაგან ზოგიერთი უკან დააბრუნეს ნაადრევი დეპორტაციის მცდელობის შემდეგ.

30. მისი ვიზიტების შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა რიგი სახელმძღვანელო პრინციპებისა, რომელთა დაცვაც რეკომენდებულია შესაბამისი ქვეყნებისათვის. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ამ სახელმძღვანელო პრინციპების ფართო გამოყენებას კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოში, კომიტეტმა გადაწყვიტა, თავი მოეყარა ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპებისათვის და განემარტა ისინი.

რასაკვირველია, ის, რაც ქვემოთაა მოცემული, უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტური მოვალეობა და არა ისე, რომ გაიგზავნოს პირი იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს მყარი საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ ეს პირი აღმოჩნდება რეალური რისკის ქვეშ, აწამონ ან არასათანადოდ მოეპყრან.

31. CPT აღიარებს, რომ ხშირად რთული და სტრესული იქნება დეპორტაციის განხორციელება უცხო მოქალაქეობის პირის მიმართ, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენა. სხვადასხვა ქვეყანაში CPT-ს ჩატარებული ყველა კვლევის შუქზე – კერძოდ კი, დეპორტაციასთან დაკავშირებული საბუთების განხილვიდან, არასათანადო მოპყრობის დარღვევებს რომ შეიცავენ – ასევე ცხადია, რომ საჭიროა გზით დეპორტაციის ოპერაციები მოიცავენ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აშკარა რისკს. ასეთი რისკი არსებობს როგორც დეპორტაციის მომზადების, ასევე რეისის პროცესში. იგი გარდაუვალია ზემოქმედების მთელი რიგი ინდივიდუალური საშუალებების/მეთოდების გამოყენებისას და უფრო მაღალია, როცა ამგვარი საშუალებები/მეთოდები გამოიყენება კომბინაციაში.

32. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ყოვლად მიუღებელია დეპორტაციისათვის გამზადებულ ადამიანზე ფიზიკური ძალადობა იმაში დასარწმუნებლად, რომ იგი ავა სატრანსპორტო საშუალების ბორტზე ან როგორც სასჯელი, რომ ეს ასე არ გააკეთა. CPT მიესალმება იმ ფაქტს, რომ ეს წესი ასახულია ბევრ შესაბამის ინსტრუქციაში იმ ქვეყნებში, სადაც CPT იმყოფებოდა. მაგალითად, CPT-ს განხილული ზოგიერთი ინსტრუქცია კრძალავს ზემოქმედების ისეთ საშუალებათა გამოყენებას, რომელიც განკუთვნილია უცხოელის დასასჯელად წინააღმდეგობის გაწევისათვის ან რომელიც იწვევს ზედმეტ ტკივილს.

33. ცხადია, რომ ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც თავს იჩენს დეპორტაციის ოპერაციის განხორციელებისას, არის ძალისა და ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება ესკორტის პერსონალის მხრიდან. CPT აღიარებს, რომ ეს პერსონალი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს ძალა და ზემოქმედების საშუალებები, რათა ეფექტიანად განხორციელდეს დეპორტაცია. თუმცა, ძალა და ზემოქმედების საშუალებები არ უნდა გამოიყენონ იმაზე მეტად, ვიდრე ეს გონივრულად აუცილებელია. CPT მიესალმება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ძალისა და ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება დეპორტაციის პროცედურებისას განხილულია დეტალურად, კანონიერების, პროპორციულობისა და შესაბამისობის პრინციპების შუქზე.

34. ძალისა და ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების საკითხი დგას იმ მომენტიდან, როცა შესაბამის დაკავებულს გამოიყვანენ საკნიდან, სადაც ის ელოდებოდა დეპორტაციას (ეს საკანი შეიძლება მდებარეობდეს აეროპორტში, ან ციხეში ან პოლიციის განყოფილებაში). განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ესკორტის მიერ პიროვნების გაკავებისას გამოყენებული ტექნიკა, როცა იყენებენ ფიზიკური ზემოქმედების საშუალებებს, როგორცაა რკინის ხელბორკილები ან პლასტმასის ჯოხები, დაკავების ობიექტი ფლობს ფიზიკურ ძალას და შეუძლია ძალით შეეწინააღმდეგოს ხელბორკილების დადებას. იმ შემთხვევებში, როცა თავს იჩენს წინააღმდეგობა, ესკორტის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, აკავებენ დაკავების ობიექტს, მთლიანად აწვენენ მიწაზე პირით ქვემოთ, რათა დაადონ ხელბორკილები. ამ პოზიციაში, კერძოდ, როცა ესკორტის თანამშრომლები აწვებიან მას სხეულის სხვადასხვა ადგილას (ნეკნებზე, მუხლით ბეჭებზე, კისრის გაკავება) და იგი წინააღმდეგობას უწევს, იქმნება პოზიციური ასფიქსიის განვითარების საშიშროება².

მსგავსი რისკია, როცა დაკავების ობიექტი, უკვე მოთავსებული საჰაერო ხომალდის სავარძელზე, იწყებს წინააღმდეგობის გაწევას და ესკორტის თანამშრომლები, ძალის გამოყენებით, აიძულებენ მას, გადაიხაროს წინ: თავი მუხლებს შორისაა და მას ძლიერად უჭერენ ნეკნებზე. ზოგიერთ ქვეყანაში ძალის გამოყენება იმისათვის, რომ პირი სამგზავრო სკამზე იჯდეს წელში ორად მოხრილი, როგორც წესი, იკრძალება. გაკავების ეს მეთოდი დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური გარდაუვალობის შემთხვევაში იმისათვის, რომ ოპერაცია ჩატარდეს კონკრეტულად, სწრაფად და ავტორიზებულად.

CPT-მ ცხადად განაცხადა, რომ რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავი უნდა აარიდონ ძალის და/ან ზემოქმედების საშუალებათა გამოყენებას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს პოზიციური ასფიქსია. ხოლო თუ ეს გარდაუვალია გამონაკლის შემთხვევებში, უნდა განხორციელდეს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რომლებიც შემუშავებულია შესაბამისი პირის ჯანმრთელობის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

² კერძოდ, იხ. “პოზიციური ასფიქსია – უეცარი სიკვდილი”, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, ივნისი, 1995. აგრეთვე, კონფერენციის - “უფრო უსაფრთხო ზემოქმედება” მასალები, რომელიც ჩატარდა 2002 წლის აპრილში, ლონდონში, გაერთიანებული სამეფოს პოლიციის საჩივრების განყოფილება (წწწ.პცა.გოვ.უკ)

35. CPT-მ ინტერესით შენიშნა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ძალაშია მითითებები, რომელთა თანახმადაც დაკავების საშუალებები არ უნდა გამოიყენონ ფრენის დროს (მას შემდეგ, რაც საჰაერო ხომალდის აფრენა დასრულდება). თუ, გამონაკლის შემთხვევებში, ზემოქმედების საშუალებების გამოყენება აუცილებელია, რადგან დეპორტაციის ობიექტი აგრძელებს აგრესიულ ქცევას, ესკორტის თანამშრომლებს აქვთ მითითება, რომ უცხოელს კიდურები დაუფარონ თხელი საბნით (რომელსაც, ჩვეულებრივ, მგზავრებს ურიგებენ თვითმფრინავში), რათა ზემოქმედების ეს საშუალება არ შენიშნონ სხვა მგზავრებმა.

მეორე მხრივ, ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც ჩატარდა CPT-ს ვიზიტი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ყველაზე მეტად პრობლემური ქვეყანაა დეპორტაციის პროცედურების თვალსაზრისით, აღმოჩნდა, რომ შესაბამის პირებს ფრენის დროს აიძულებენ გაიკეთონ პამპერსი და უკრძალავენ ტუალეტში გასვლას უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. ამგვარი წესები მხოლოდ ღირსების შემლახველ ვითარებამდე მიგვიყვანს.

36. გარდა პოზიციური ასფიქსიის რისკის თავიდან აცილებისა, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, CPT სისტემატურად იძლეოდა რეკომენდაციას, რომ სრულად აიკრძალოს ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა სასუნთქი გზების (ცხვირის და/ან პირის) ახვევა ნაწილობრივ ან სრულად. ბოლო ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარმა დეპორტაციასთან დაკავშირებულმა სერიოზულმა ინციდენტებმა აჩვენა, რომ სიცოცხლის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ეპყრობოდნენ მსგავსი მეთოდებით (პირის და/ან ცხვირის ახვევა წებოვანით, ბალიშის ან დაბამბული ხელთათმანის სახეზე დადება, სახის მიჭყლეტვა წინა სკამის საზურგეზე და სხვ.). CPT-მ კონვენციის წევრი სახელმწიფოების ყურადღება მიაპყრო ამ მეთოდების სახიფათობას ჯერ კიდევ 1997 წელს, მის მე-7 საერთო ანგარიშში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს პრაქტიკა დღესდღეობით მნიშვნელოვნად შემცირებულია ბევრ წევრ სახელმწიფოში და მოუწოდებს იმ სახელმწიფოებს, სადაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, რომ შემოიღონ ამკრძალავი დებულებები ამ მიმართულებით, შემდგომი დაყოვნების გარეშე.

37. არსებითია ის, რომ საავარიო სიტუაციაში, როცა საჰაერო ხომალდი ჰაერში იმყოფება, დეპორტირებული ადამიანის გადარჩენას ხელი არ უნდა შეეშალოს. შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ დეპორტირებულ ადამიანს, ეკიპაჟის მოთხოვნისამებრ, დაუყოვნებლივ მოაშორონ ნებისმიერი საშუალება, რაც მოძრაობას უზღუდავს.

ანგარიში უნდა გაეწიოს ასევე ჯანმრთელობის რისკს, რაც უკავშირდება ე.წ. “ეკონომ-კლასის სინდრომს” იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აიძულებენ რეისის განმავლობაში ხანგრძლივად ისხდნენ სავარძელზე³.

³ კერძოდ, იხ.: “ხანგრძლივი რეისების დროს ვენების თრომბოზის სიხშირე და პრევენცია: კვლევა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით” (“Fréquence et prévention de la thrombose veineuse chez les passagers de classe économique lors de vols longs-courriers”, *Journal of Thrombosis and Haemostasis*, 2001, 1(1), 1-6), *ჟოჰნ მცურე ეტ ალ, თჰე სანცეტ, Vol. 357, 12 May 2001*

38. ზოგიერთ ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ CPT-ს შეშფოთება გამოიწვია ორმა კონკრეტულმა საკითხმა: დეპორტაციის ესკორტის თანამშრომლები ატარებენ ნიღბებს. ამასთან, ისინი იყენებენ მომწამლავ ან ცრემლსადენ აირებს საიმიგრაციო თავისუფლებააღკვეთილ პირთა საკნებიდან გამოყვანისას საჰაერო ხომალდზე აყვანის მიზნით.

CPT-ს აზრით, ესკორტის თანამშრომლების მხრიდან ნიღბების ტარებას დეპორტაციის ოპერაციისას ვერასოდეს გაამართლებს უსაფრთხოების მოსაზრებები. ეს ძალიან არასასურველი პრაქტიკაა, რადგან უკიდურესად ართულებს იმის დადგენას, თუ ვინ არის პასუხისმგებელი არასათანადო მოპყრობაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

39. დეპორტაციის ოპერაციისას მომხდარმა რამოდენიმე ინციდენტმა ნათელი გახადა, რომ მნიშვნელოვანია დაკავებული მიგრანტებისათვის სამედიცინო შემოწმებაზე გასვლის ნების დართვა, სანამ მათ დეპორტზე გადაწყვეტილება შესრულდება. ამგვარი წინდახედულების გამოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა მოსალოდნელია ძალის გამოყენება და/ან სპეციალური ზომების მიღება.

ამის მსგავსად, ყველა პირმა, ვინც გახდა ნაადრევი დეპორტაციის ობიექტი, უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება მაშინვე, როგორც კი დაუბრუნდებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილს (იქნება ეს პოლიციის განყოფილება, სასჯელაღსრულების დაწესებულება თუ სპეციალურად უცხოელებისათვის განკუთვნილი შენობა). ამ გზით შესაძლებელი გახდება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა და, თუ საჭიროა, რაიმე დაზიანების დამადასტურებელი ცნობის გაცემა. ამგვარ ზომებს შეუძლიათ დაიცვან ესკორტის თანამშრომლები უსაფუძვლო დარღვევებისაგან.

40. CPT-ს ბევრი ვიზიტის დროს სმენია, რომ დაკავებულ მიგრანტებს უკეთებენ ტრანკვილიზატორებისა და სედატიურ საშუალებათა ინექციებს, რათა მათი დეპორტაცია განხორციელდეს სირთულეების გარეშე. მეორე მხრივ, კომიტეტმა ზოგიერთ ქვეყანაში შენიშნა, რომ წესები კრძალავს პირის ნების საწინააღმდეგოდ მისთვის ტრანკვილიზატორის ან სხვა მედიკამენტის მიღებინებას, მისი გაკონტროლების მიზნით. CPT მიიჩნევს, რომ მედიკამენტების მიღების საკითხი იმ პირებისათვის, რომლებსაც ეხებათ ბრძანება დეპორტაციის შესახებ, უნდა გადაიჭრას სამედიცინო გადაწყვეტილების საფუძველზე თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე. ცხადად და ზუსტად განსაზღვრული გამონაკლისი გარემოებების გარდა, მედიკამენტის მიღება უნდა გადაწყდეს მხოლოდ შესაბამისი პირის ინფორმირებისა და მისი თანხმობის შემდეგ.

41. დაკავებულ მიგრანტთა დეპორტაციის ოპერაციას წინ უნდა უძღოდეს ზომების მიღება პირის დაბრუნების ორგანიზებისათვის, კერძოდ კი, ოჯახში, სამუშაოსა და ფსიქოლოგიურ ფრონტზე. არსებითია, რომ დაკავებულ მიგრანტებს საკმარისად ადრე აცნობონ მათი მოსალოდნელი დეპორტაციის შესახებ, რათა დაიწყონ სიტუაციასთან ფსიქოლოგიური შეგუება და შეძლონ, შეატყობინონ ამის შესახებ იმ ადამიანებს, ვისთვისაც ინფორმაციის მიწოდება სჭირდებათ და აიღონ თავიანთი პირადი ნივთები. CPT-მ გამოიკვლია, რომ დაკავებულთა მუდმივმა მუქარამ იძულებითი დეპორტაციით, როცა მათ არ აქვთ წინასწარი ინფორმაცია დეპორტაციის თარიღის შესახებ, შეიძლება

ისინი მიიყვანოს სიბრაზის მდგომარეობამდე, რაც კულმინაციას აღწევს დეპორტაციის დროს და ხშირად შეიძლება გადავიდეს ძლიერ აღზნებულ მდგომარეობაში. ამასთან დაკავშირებით, CPT-მ აღნიშნა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მათ ვიზიტი ჰქონდათ, დეპორტაციის ოპერაციებზე პასუხისმგებელ განყოფილებებთან თანაარსებობდა ფსიქო-სოციალური სამსახურიც, რომელშიც დასაქმებულნი იყვნენ ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. მათ, კერძოდ, ევალუბოდათ დაკავებულ მიგრანტთა მომზადება (დიალოგის, დანიშნულების წერტილში ოჯახთან კონტაქტის და სხვ. გზებით) დეპორტაციისათვის. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ CPT მიესალმება ამ ინიციატივებს და მოუწოდებს ქვეყნებს, სადაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ, შემოიღონ ასეთი სამსახურები.

42. დეპორტაციის ოპერაციების სათანადოდ განხორციელება ბევრწილად დამოკიდებულია იმ თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე, ვისაც ევალება თანხლება. ცხადია, ესკორტის თანამშრომლები უნდა შეირჩნენ განსაკუთრებული სიფრთხილით. ასევე, მათ უნდა გაიარონ სათანადო, სპეციფიკური გადასწავლება, რათა არასათანადო მოპყრობის რისკი შემცირდეს მინიმუმამდე. ხშირად ეს ასე არ იყო წევრ სახელმწიფოებში, სადაც ვიზიტი განხორციელდა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარდა სპეციალური ტრენინგები (დაკავების მეთოდი და საშუალება, სტრესისა და კონფლიქტის მენეჯმენტი და ა.შ.). მეტიც, მენეჯმენტის ზოგიერთ სტრატეგიას ჰქონდა სასარგებლო ეფექტი: ესკორტის ფუნქციების დავალება მოხალისე თანამშრომლებისათვის, სავალდებულო როტაციის წესით (იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ დადლის სინდრომი და ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, ამასთან, უზრუნველყონ, რომ შესაბამის პერსონალს ჰქონდეს ერთგვარი ემოციური გაუცხოება ოპერატიული საქმიანობისაგან, რომელშიც ისინი იყვნენ ჩართულნი), ისევე, როგორც პერსონალის სპეციალიზებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა მოთხოვნისამებრ.

43. გადამეტებული არ იქნება შიდა და გარე მონიტორინგის შემოღება ისეთ სენსიტიურ სფეროში, როგორცაა საჰაერო ხომალდით დეპორტაციის ოპერაციები. CPT-მ გამოიკვლია, რომ ბევრ ქვეყანაში, სამწუხაროდ, სპეციფიკური მონიტორინგის სისტემები შემოიღეს მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზული ინციდენტების შემდეგ, როგორცაა დეპორტირებულთა სიკვდილი.

44. დეპორტაციის ოპერაცია უნდა იყოს ზედმიწევნით დოკუმენტირებული. მთავარი მოთხოვნაა ყოვლისმომცველი საქმის შედგენა და დეპორტაციის თითოეული ჩატარებული ოპერაციის წერილობითი აღწერა. ნადრევი დეპორტაციის მცდელობის შესახებ ინფორმაცია უნდა იმსახურებდეს განსაკუთრებულ ყურადღებას, კერძოდ, სისტემატურად უნდა აღირიცხებოდეს დეპორტაციის ოპერაციის შეწყვეტის მიზეზები (ხელმძღვანელთა ბრძანების საფუძველზე ესკორტის ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საჰაერო ხომალდის კაპიტნის უარი, დეპორტირების ობიექტის ძლიერი წინააღმდეგობა, თავშესაფრის მოთხოვნა და ა.შ.). ჩაწერილმა ინფორმაციამ უნდა მოიცვას ყველა ინციდენტი და ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების ყველა შემთხვევა (ხელბორკილები; მუხლებსა და ფეხებზე მოსაჭერი ბორკილები; თავდაცვის ტექნიკის გამოყენება; დეპორტირებული პირის ბორტზე დაყოვნება და სხვ.).

ასევე შეიძლება გაითვალისწინონ სხვა საშუალებები, მაგალითად, აუდიოვიზუალური. ამგვარი საშუალებები გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, ისეთი დეპორტაციებისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ პრობლემატური იქნება. ამასთან, შესაძლებელია სათვალთვალო კამერების დაყენებაც სხვადასხვა ადგილას (საკნებისაკენ მიმავალ დერეფნებში, იმ მარშრუტზე, რომელსაც ესკორტი და დეპორტირებული პირი გაივლიან მანქანით საჰაერო ხომალდამდე და სხვ.).

45. ასევე სასურველია, რომ დეპორტაციის თითოეულ ოპერაციას, სადაც განიჭვრიტება სირთულეები, აკვირდებოდეს მენეჯერი კომპეტენტური განყოფილებიდან, რომელიც შეძლებს შეწყვიტოს ოპერაცია ნებისმიერ მომენტში. ზოგიერთ ქვეყანაში ვიზიტისას, CPT-მ აღმოაჩინა, რომ ტარდებოდა საკონტროლო შემოწმებები დეპორტაციისათვის მომზადების პროცესშიც და ჩასხდომისასაც. შემოწმებას ახორციელებდნენ პოლიციის საზედამხედველო ორგანოები. რაც უფრო მნიშვნელოვანია, იშვიათ შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები ადიოდნენ საჰაერო ხომალდის ბორტზე ინკოგნიტოდ და, ამდენად, ამოწმებდნენ დეპორტირებულ პირსა და ესკორტის ჩასვლას დანიშნულების პუნქტამდე. CPT მხოლოდ მიესალმება ამგვარ ინიციატივებს, რაც ძალიან იშვიათია ამჟამად ევროპაში.

გარდა ამისა, CPT-ს სურს ხაზი გაუსვას იმას, თუ რა როლს ითამაშებდა გარე საზედამხედველო (მათ შორის, სასამართლო) ხელისუფლება, იქნებოდა ეს ნაციონალური თუ საერთაშორისო, არასათანადო მოპყრობის აღკვეთაში დეპორტაციის ოპერაციებისას. ეს ხელისუფლებები ყურადღებით უნდა აკვირდებოდნენ ყველა მოვლენას ამ თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ ძალისა და ზემოქმედების საშუალებათა გამოყენებას და საჰაერო ხომალდით დეპორტირებული პირების უფლებათა დაცვას.